European Bank for Reconstruction and Development

Independent Project Accountability Mechanism

მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის (MAP) მონიტორინგის გეგმა

ნენსკრა ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

(#46778)

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი

საქმე 2018/08

ნოემბერი 2020

შენიშვნა: ეს საქმე მიღებულია პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) ფარგლებში - EBRD–ის ყოფილი ანგარიშვალდებულების მექანიზმი - 2014 წლის PCM–ის პროცედურული წესების შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისიდან, პროექტის გასაჩივრების მექანიზმი შეცვალა პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელმა მექანიზმმა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის საფუძველზე. საქმის გადასვლის შესახებ პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ნენსკრას მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) არის EBRD–ის ახალი ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი. იგი განიხილავს, პროექტით დაზარალებული ადამიანებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ, გარემოსდაცვით, სოციალურ და პროექტის საჯაროობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. IPAM–ს შეუძლია პრობლემების მოგვარება ორი გზით: i) პრობლემების გადაჭრა, რომელიც მხარს უჭერს მოსარჩელესა და კლიენტებს შორის დიალოგს, რათა გადაჭრას გარემოსდაცვითი, სოციალური და ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული პრობლემები, ბრალის ან დანაშაულის მიკუთვნების გარეშე; ან ii) შესაბამისობის მიმოხილვები, რომლებიც განსაზღვრავს, შეასრულა თუ არა EBRD-მა თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით.

IPAM–ის შესახებ ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ipam@ebrd.com ან ეწვიეთ IPAM webpage.

საკონტაქტო ინფორმაცია	**როგორ უნდა შევიტანოთ საჩივარი IPAM–ში**
პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი One Exchange Square ლონდონი EC2A 2JN ტელეფონი: +44 (0)20 7338 6000 ელ.ფოსტა: ipam@ebrd.com	EBRD-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესრულების შესახებ პრობლემები შეიძლება შემოტანილ იქნას ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან წერილობით, ან ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: https://www.ebrd.com/project-finance/ipam.html

სარჩევი

აბრევიატურათა სია 4
1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. IPAM-ის მონიტორინგის მიდგომა 5
3. შემოთავაზებული IPAM მონიტორინგის გეგმა 6
დანართი: MAP- ის განხორციელების მონიტორინგის გეგმა 7

აბრევიატურათა სია

CIA	კუმულაციური ზემოქმედების შეფასება
CR	შესაბამისობის მიმოხილვა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EPC	საინჟინრო, შესყიდვების და სამშენებლო კონტრაქტი
ESIA	გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESP	EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა
GBHV	გენდერული ნიშნით შევიწროება და ძალადობა
GoG	საქართველოს მთავრობა
HPP	ჰიდროენერგეტიკული პროექტი
IPAM	პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი
LALRP	მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა
MAP	მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
PAP	პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა
PCM	პროექტის გასაჩივრების მექანიზმი
PIP	საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა
PR7	შესრულების სტანდარტები 7
TC	ტექნიკური თანამშრომლობა
TOR	ტექნიკური დავალება

1. ზოგადი ინფორმაცია

2018 წლის ივნისში, პროექტის გასაჩივრების მექანიზმმა (PCM), ნენსკრა ჰესის პროექტთან დაკავშირებით, მიიღო საჩივარი საქართველოს ჭუბერის თემის წევრებისგან, მათთან ერთად სარჩელის თანაშემომტანები იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საერთაშორისო ბანკების საქმიანობის მაკონტროლებელი ქსელი (CEE Bankwatch Network) და მწვანე ალტერნატივა (მოსარჩელეები). 2014 წლის EBRD-ის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან (ESP) შეუსაბამობის ბრალდებების შედეგად, PCM–მა ჩაატარა საქართველოში მდებარე ნენსკრა ჰესის პროექტის შესაბამისობის მიმოხილვა. PCM შესაბამისობის მიმოხილვის გარე ექსპერტმა გამოავლინა ხუთ (5) ESP-ის შესრულების სტანდარტთან შეუსაბამობა და წარმოადგინა თერთმეტი (11) პროექტის დონის და სისტემური რეკომენდაცია აღნიშნული შეუსაბამობის მოსაგვარებლად. 2014 წლის PCM-ის პროცედურული წესების 45-ე და 46-ე პუნქტების შესაბამისად, EBRD-ის მენეჯმენტმა, ექსპერტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის, მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) მოამზადა. მენეჯმენტმა მიმართა აუდიტის კომიტეტს MAP-ის პროექტის დასამტკიცებლად 2020 წლის 16 ივლისს, და ჩაითვალა, რომ გეგმა საკმარისად ითვალისწინებდა შესაბამისობის მიმოხილვის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. თუმცა, აუდიტის კომიტეტის წევრების უკუკავშირის შემდეგ, MAP–სა და საბჭოში მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი გაუპროტესტებლობის პროცედურის საფუძველზე, საბოლოო ვერსია დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში.

შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში და დამტკიცებული მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა (MAP) გამოქვეყნდა IPAM-ის საჯარო საქმეთა რეესტრში 2020 წლის 11 აგვისტოს და ამგვარად, დაიწყო MAP–ის მონიტორინგის ეტაპი.

ამ საქმის წარმოების პარალელურად, 2020 წლის 1 ივლისს, ძალაში შევიდა 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკა (PAP), ამგვარად, შეცვლა 2014 პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პროცედურული წესები.

შედეგად, პოლიტიკის მე-V ნაწილში დადგენილი გარდამავალი დებულებების შესაბამისად, IPAM-ის მიერ ნენსკრა MAP-ის განხორციელების მონიტორინგი PAP-ის დებულებებით იხელმძღვანელებს.

2. IPAM-ის მონიტორინგის მიდგომა

2019 წლის PAP-ის[1] მიხედვით, IPAM-ი მონიტორინგს გაუწევს დამტკიცებული MAP–ის განხორციელებას, ნენსკრა ჰესის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში გამოვლენილი შეუსაბამობის შესახებ დასკვნების კონტექსტში. დამტკიცებული MAP-ი მოიცავს 11 რეკომენდაციისთვის სამოქმედო პუნქტებს და PAP-ის, (2.8 (b) პარაგრაფის) მიხედვით, იგი განხორციელებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც შემდეგ კრიტერიუმებს შეასრულებს:

[1] 2019 წლის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის (PAP) მიხედვით, პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) მონიტორინგს გაუწევს ნებისმიერ მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის(MAP) განხორციელებას, რომელიც შექმნილია რეკომენდაციების განსახორციელებლად ,შეუსაბამობის დასკვნების გადასაჭრელად საბჭოს დამტკიცების შემდეგ PAP– ის III ნაწილის 2.7 და 2.8 პუნქტების შესაბამისად.

i. ქვემოთ მოცემული განხორციელების გეგმები და ვალდებულებები ეფექტურად ხორციელდება; და

ii. შესრულებულდება განხორციელების განრიგი.

ნენსკრა MAP–ის IPAM–ის მონიტორინგის გეგმა მოიცავს აქტივობების კომბინაციას PAP-ის მიდგომის შესაბამისად, MAP–ის ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს მენეჯმენტის მიერ შემოთავაზებულ ვადებში გაკეთდეს.

IPAM–ის საქმეთა რეესტრის მეშვეობით საბჭოს, პრეზიდენტის, მომთხოვნი პირების, მენეჯმენტისა და კლიენტის, აგრეთვე, ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, IPAM ყოველწლიურად ორჯერ მაინც გამოაქვეყნებს მონიტორინგის ანგარიშებს, სანამ ყველა ქმედება არ შესრულდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია IPAM–ის მონიტორინგის ანგარიშების გასაჯაროების დაგეგმილი გრაფიკი. რადგან საბჭომ, 2020 წლის აგვისტოში დაამტკიცა ნენსკრა MAP–ი, IPAM–ის მონიტორინგის პირველი ანგარიში გასაჯაროვდება 2021 წლის თებერვლის ბოლოს და შემდგომი ანგარიშები გამოქვეყნდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ, სანამ MAP–ი არ განხორციელდება ეფექტურად.

IPAM-ის მონიტორინგი და ანგარიშგების გრაფიკი

ანგარიში	მოიცავს მონიტორინგის პერიოდს	IPAM-ის მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნების ბოლო ვადა
პირველი მონიტორინგის ანგარიში	2020 წლის სექტემბერი - 2021 წლის იანვარი	2021 წლის თებერვლის ბოლო
მეორე მონიტორინგის ანგარიში	2021 წლის თებერვალი - 2021 წლის ივლისი	2021 წლის აგვისტოს ბოლო
მესამე მონიტორინგის ანგარიში	2021 წლის აგვისტო - 2022 წლის იანვარი	2022 წლის თებერვლის ბოლო
მეოთხე მონიტორინგის ანგარიში	2022 წლის თებერვალი - 2022 წლის ივლისი	2022 წლის აგვისტოს ბოლო
მეხუთე მონიტორინგის ანგარიში	2022 წლის აგვისტო - 2023 წლის იანვარი	2023 წლის თებერვლის ბოლო
მეექვსე მონიტორინგის ანგარიში[2]	2023 წლის თებერვალი - 2023 წლის ივლისი	2023 წლის აგვისტოს ბოლო

IPAM–ის მონიტორინგის ანგარიშები ყურადღებას გაამახვილებს სამოქმედო პუნქტებზე, რომელთა შესრულებასა და მონიტორინგის პერიოდში დასრულებაზე MAP–მა აიღო ვალდებულება, რომელიც მოცემულია კონკრეტულ ანგარიშში. ქმედებები ეფექტურად დასრულებულად ჩაითვლება, როდესაც მენეჯმენტი IPAM–ს მისი დასრულების მტკიცებულებას წარუდგენს და მას მერე, რაც სათანადო განხილვის შემდეგ, IPAM-ი

[2] ეს ვადები და მონიტორინგის ანგარიშების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს იმის და მიხდევით, თუ რომელ თარიღზე მოეწერა სესხს ხელი, რადგან მთელი რიგი მოქმედებები ამ თარიღზეა დამოკიდებული .

დაადასტურებს, რომ საქმიანობა/პროდუქტი პასუხობს გაცემულ რეკომენდაციას.

მონიტორინგის აქტივობები ყურადღებას გაამახვილებს IPAM-ის გუნდის მიერ სამაგიდო მიმოხილვაზე, რათა განიხილოს მენეჯმენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია MAP-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად. იგი აქტიურად გაივლის კონსულტაციას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, თითოეული მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნებამდე. საჭიროების შემთხვევაში, IPAM დაიქირავებს ექსპერტებს და განახორციელებს პროექტის ადგილზე ვიზიტებს.

3. შემოთავაზებული IPAM-ის მონიტორინგის გეგმა

11 PCM რეკომენდაცია განხილულია დამტკიცებულ MAP–ში, ქმედებების კომბინაციით, ზოგი უკვე განხორციელებულია ან მიმდინარეობს და ზოგიერთი უშუალოდ პროექტისთვისაა დამახასიათებელი. ყველა მათგანისთვის, MAP მოიცავს დასრულების სავარაუდო ვადებს. ამ ვადების საფუძველზე, IPAM–ის მონიტორინგის გეგმამ დაადგინა მონიტორინგის ღონისძიებები, რომელსაც IPAM–ის გუნდი განახორციელებს და ამ ღონისძიებების განხორციელების ვადა.

MAP–ის ბოლო ვადებთან დაკავშირებით, მენეჯმენტმა განმარტა შემდეგი:

1. იმ მოქმედებებისთვის, სადაც MAP–ის ბოლო ვადაა მონიტორინგის პირველი პერიოდი, ეს განისაზღვრება, როგორც 12 თვე MAP–ის დამტკიცების დღიდან.
2. COVID-19– თან დაკავშირებით ამჟამინდელმა მოგზაურობის აკრძალვამ შეიძლება, გავლენა მოახდინოს შემოთავაზებულ ვადზე.

დანართში მოცემულია IPAM-ის მონიტორინგის გეგმა თითოეული მენეჯმენტის ქმედებისათვის, რომელიც შემოთავაზებულია შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში წარმოდგენილი 11 რეკომენდაციის გასათვალისწინებლად. თითოეული მოქმედების პუნქტისთვის, ცხრილში მოცემულია მონიტორინგის საქმიანობა, რომელიც უნდა განხორციელდეს IPAM–ის მიერ, თარიღი როდესაც მოელიან, რომ შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა ჩატარდება და IPAM-ი როგორ განსაზღვრავს, რომ მოქმედება ასახავს რეკომენდაციას, რომლის გათვალისწინებასაც ის ცდილობს.

IPAM–ის მონიტორინგის ორწლიანი ანგარიშები მოგვაწვდის პროგრესის შესახებ ინფორმაციას, დანართში წარმოდგენილი საქმიანობის გრაფიკის შესაბამისად.

დანართი: MAP-ის განხორციელების მონიტორინგის გეგმა

ქმედება No.	EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
1.	კლიენტების მიმართ EBRD-ის მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური თვალყურისდევნების სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ბანკს უზრუნველყოს, რომ ESP-ის დაცვასთან მიმართებით, პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნები დროულად განხორციელდეს. ეს სისტემა შევა ESD– ის (EBRD-ის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის) უზრუნველყოფის ჩარჩოში და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ჩაწერა, თვალყურის დევნება და მიმოხილვის კომენტარების დახურვა, რაც კლიენტებს მიეწოდება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: დაუყოვნებლად**	➢ მოითხოვეთ შეხვედრა, რათა გაეცნოთ თვალყურის დევნების ინსტრუმენტს. ➢ გამოავლინეთ საქმის ნიმუში, რომ გამოსცადოთ გამოყენება.	2021 წლის იანვარი	➢ ოპერაციული თვალყურის დევნების ინსტრუმენტი არსებობს და მუშაობს
		➢ ვერიფიკაცია საქმის ნიმუშის გამოყენებაზე.	2022 წლის იანვარი	➢ მენეჯმენტის მიერ ინსტრუმენტის გამოყენების მტკიცებულება

2.	ჩაატარეთ შესწორებული PR7-ის ხარვეზების ანალიზი 2019 ESP– სა და PR7– ის ახალ სახელმძღვანელო შენიშვნაში, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა ელემენტის ჩართვის უზრუნველსაყოფად. დაასრულეთ და გამოაქვეყნეთ PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)**	➢ ხარვეზების ანალიზის განხილვა და საბჭოს განხილვისა და გასაჯაროების პროცესის ვერიფიკაცია	2021 წლის ივლისი	➢ ხარვეზების ანალიზი დასრულებულია მენეჯმენტის მიერ ➢ საბჭოს მიერ განხილულია PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა ➢ PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნა გასაჯაროებულია მენეჯმენტის მიერ
3.	(i) განსაზღვრეთ კარგი საერთაშორისოპრაქტიკა ალტერნატივების შეფასებისთვის და მიიღეთ ეს შიდა სახელმძღვანელოდ, როგორც ESD–ის უზრუნველყოფის ჩარჩოს ნაწილი.	➢ მენეჯმენტთან შეხვედრის მოთხოვნა მიღებული პროცესისა და ჩატარებული ანალიზის გასაგებად, ალტერნატიული შეფასებისთვის, GIP–ის განსაზღვრის მიზნით.	2021 წლის იანვარი	➢ სხდომა მოწვეულია
	(ii) მოამზადეთ გასაჯაროებისთვის შიდა მითითებები, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე ჩატარდა ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიმოხილვის, GIP-თან მიმართებით, ასეთი ანალიზის შედეგებამდე. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)**	➢ შიდა სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა	2021 წლის ივლისი	➢ სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია IPAM-ის მიერ

ქმედება No.	EBRD– ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები	IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა	IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა	IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის
4.	(i) გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიცირება და მენეჯმენტის მითითებები ამჟამად დასრულების პროცესშია და გასაჯაროვდება EBRD-ის და კლიენტების მიერ გამოყენებისთვის. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)**	➢ გენდერული ნიშნით შევიწროებისა და ძალადობის (GBHV) იდენტიფიცირების და მენეჯმენტის სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა	2021 წლის იანვარი	სახელმძღვანელო შენიშვნა განხილულია IPAM-ის მიერ ➢ სახელმძღვ ანელო შენიშვნა გასაჯაროებ ულია მენეჯმენტი ს მიერ
	(ii) შემუშავდა GBVH-ის რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები და (iii) 2019 წელს EშD-ის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე. დაგეგმილია დამატებითი ტრენინგი GBVH-ის შესახებ GBVH-ის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: ქმედება დასრულდა და დამატებითი ტრენინგი ჩატარდება 2020 წლის მეორე ნახევარში.**	➢ მოითხოვეთ მენეჯმენტთან შეხვედრა, რათა გაეცნოთ გენდერული რისკების სკრინინგის ინსტრუმენტებს და პროექტებში მათ გამოყენებას. ➢ ჩატარებული ტრენინგების დოკუმენტური მტკიცებულებების გადასინჯვა	2021 წლის იანვარი	➢ მენეჯმენტისგან მიღებულია უკუკავშირი ინსტრუმენტის სარგებლიანობაზე ➢ ტრენინგის დოკუმენტების მიღება IPAM-ის მიერ

	(iv) შემუშავდება შიდა სახელმძღვანელო უფრო ფართო გენდერული განხილვისთვის, 2019 წლის ESP-ისა და მასთან დაკავშირებული შესრულების სტანდარტების საფუძველზე და ESD-ის ჩაუტარდება ტრენინგები, რათა დაეხმაროს პროექტებში გენდერული საკითხების / რისკების მოგვარებაში. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)**	➢ შიდა სახელმძღვანელო შენიშვნის მიმოხილვა უფრო ფართო გენდერული მოსაზრებების ჩართვის შესახებ ➢ მოითხოვეთ ტრენინგის ჩანაწერები ➢ IPAM– ის გუნდის ერთი წევრი უნდა მონაწილეობდეს ტრენინგში	2021 წლის ივლისი	➢ IPAM-ის მიერ განხილულია სახელმძღვანელო შენიშვნა ➢ IPAM-ის მიერ ტრენინგის დოკუმენტების მიღება ➢ IPAM-ის გუნდის ერთმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში
5.	კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, პროექტის გამსესხებლებთან, საქართველოს მთავრობის შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივი აღიარების მქონე ექსპერტებთან, რათა განისაზღვროს შესაბამისი შემდეგი ნაბიჯები პროექტის ESIA– ს კონტექსტში და სვანეთში PR7– ის გამოყენებადობის უფრო ფართო შინაარსისთვის. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი ეტაპი (სამაგიდო კვლევა): 2020 წლის ნოემბერი** **მეორე ეტაპის ბოლო ვადა (საველე კვლევა): 24 თვე MAP-ის**	➢ I ეტაპის ანგარიშის მიმოხილვა	2020 წლის დეკემბერი	➢ ანგარიში განხილულია IPAM– ის მიერ
		➢ ToR-ის მიმოხილვა მე-2 ეტაპისთვის კონსულტაციების ანგარიშების მიმოხილვა ➢ IPAM-მა დამკვირვებლის სტატუსით უნდა მიიღოს მონაწილეობა დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებში. ➢ PR 7–ის უფრო ფართო გამოყენების შესახებ ანგარიშის მიმოხილვა	2022 წლის ივნისი	➢ განხორციელდა პროექტის მიერ დაზარალებულ სვანებთან, კლიენტთან, მთავრობასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩართულობა. ➢ IPAM– ის მონაწილეობა დამკვირვებლის სტატუსით ➢ ანგარიში განხილულია IPAM– ის მიერ

	დამტკიცებიდან - 2022 წლის აგვისტო			
ქმედება No.	**EBRD– ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები**	**IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა**	**IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა**	**IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის**
6.	მენეჯმენტი გააგრძელებს პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას , რათა უზრუნველყოს კუმულაციური ზემოქმედების შეფასების (CIA) განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე სესხის ხელშეკრულების ხელმოწერიდან.**	➢ განახლებული CIA-ს მიმოხილვა და გასაჯაროების მტკიცებულება	2022 წლის იანვარი (სავარაუდო)	➢ IPAM-ის მიერ განხილულია განახლებული CIA ➢ განახლებული CIA გასაჯაროებულია მენეჯმენტის მიერ
7.	მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის N3 პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასების	➢ ანგარიშგებული ქმედებების მიმოხილვა	2021 წლის სექტემბერი	➢ მენეჯმენტის ანგარიშები განხილულია IPAM– ის მიერ

	მოსაგვარებლად. **მენეჯმენტის ბოლო ვადა : 2021 წლის აგვისტო**			
8.	შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისგან მოსალოდნელია დასკვნების გათვალისწინება, რადგან ის ეხება გენდერს და ინკლუზიას. ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტის ტექნიკური დავალება გაზიარებული იქნება PCM ოფისთან და მოიცავს ორსაფეხურიან მიდგომას, პირველი, რომელიც წარმოადგენს გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებით ფენას და მეორე თავდაპირველად გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა , რომ გასცდეს EBRD-ის ESP-თან შესაბამისობას. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: ეტაპი I (გენდერული ზემოქმედების შეფასება) – 2021 წლის აგვისტო** **ეტაპი II– ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტი -24 თვე სესხის ხელმოწერის შემდეგ**	➢ გენდერული ზემოქმედების შეფასების კვლევის TOR- ის (I ეტაპი) მოთხოვნა და გადახედვა	2020 წლის დეკემბერი	➢ TOR-ი განხილულია IPAM-ის მიერ
		➢ გენდერული ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიმოხილვა გენდერული ზემოქმედების შესაფასებლად, მიგრანტი მუშაკების შემოდინებასთან, ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის პოტენციური შემოღებასთან მიმართებით GIP–ის შესაბამისად.	2021 წლის ბოლო	➢ გენდერზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამოქმედო გეგმა განხილულია IPAM-ის მიერ
		➢ მე-2 ეტაპის ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროექტის ფარგლების, საქმიანობის და ➢ TOR-ის მიმოხილვა ➢ განხორციელების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღება	2021 წლის ოქტომბერი ბოლო მონიტორინგის ანგარიშის ვადამდე	➢ IPAM-ის მიერ მიღებულია ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პროგრამის TOR-ი ➢ განახლებული ინფორმაცია მიღებულია
9.	მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას LALRP–ის განახლების უზრუნველსაყოფად PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის	➢ LALRP-ის განხორციელების ანგარიშის მიმოხილვა მიწის შესყიდვის ყველა გასული და მიმდინარე საქმიანობის ბარიერების	2021 წლის ივლისი	➢ განხილულია LALRP-ის განხორციელების ანგარიში და პროექტის შედეგად დაზარალებული პირების უკუკავშირი მოდიფიცირებული

	რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის, უფლებების მატრიცის სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.	გაუქმების დასადასტურებლად ➢ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების მიმოხილვა დაზარალებული ადამიანების უკუკავშირის სანახავად განხორციელებული პროცესის შესახებ.		ა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერების მეშვეობით.
ქმედება No.	**EBRD–ის მენეჯმენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულება და შესრულების შემოთავაზებული ვადები**	**IPAM შემოთავაზებული მონიტორინგის აქტივობა**	**IPAM მონიტორინგის აქტივობის შესრულების ვადა**	**IPAM-ის მოთხოვნა დასრულების განსაზღვრისთვის**
	მენეჯმენტის ბოლო ვადა: პირველი მონიტორინგის პერიოდის ბოლოს (ზემოთ იხილეთ მენეჯმენტის განმარტება)	➢ განახლებული LALRP–ის მიმოხილვა, რომელიც მომზადდება დიზაინის ცვლილებების საფუძველზე, ყველა პოტენციურად დაზარალებული მიწის მფლობელის / მომხმარებლის გასათვალისწინებლად.	2021 წლის დასასრული	➢ LALRP–მა განიხილა და დაადასტურა, რომ იგი მოიცავს CR-ის რეკომენდაციებს
10.	მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასების განახლება, PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც	➢ კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასებაზე TOR-ის მიმოხილვა ➢ განახლებული კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასების და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მიმოხილვა. ➢ IPAM ,ასევე, განიხილავს დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებზე დასწრებას	2020 წლის ოქტომბერი 2021 წლის დასასრული	➢ მიღებულია კულტურულ მემკვიდრეობაზ ე გავლენის შეფასების ანგარიში და კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა.

	შემდგომ პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში გადაიხედება. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 12 თვე MAP– ის დამტკიცებიდან (თუ მოგზაურობის შეზღუდვები მოიხსნება)**	პროექტით დაზარალებულ ადამიანებთან ერთად, რათა დააკვირდეს მათ უკუკავშირს.		
		პროგრესის შესახებ განახლების ანგარიშის განხილვა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის განხორციელების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, IPAM-ი მოაწყობს მენეჯმენტთან შეხვედრას. ➢ სათემო ინვესტიციის პროექტების მონიტორინგის ანგარიშების განხილვა, რომელიც შექმნილია კულტურული მემკვიდრეობის დასახმარებლად, ზემოქმედების მენეჯმენტის მიღმა.	2021 წლის აგვისტო 2022 წლის იანვარი	მიღებულია მონიტორინგის ანგარიში, რომელიც ადასტურებს პროექტის გუნდის მიერ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მოთხოვნების განხორციელებას. ➢ მიღებულია სათემო ინვესტიციის პროგრამის მონიტორინგის ანგარიშები, რაც ადასტურებს კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად დამატებით პროექტებს. ➢ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ჩანაწერები მიღებულია.

11.	მენეჯმენტმა ითანამშრომლა კლიენტთან გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის მომიხილვისა და პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნების შესაფასებლად პროექტის სხვადასხვა ვალდებულებებთან მიმართებით, რათა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების სრული ათვისება და განხორციელება. ამ შეფასების შედეგები გაზიარდება PCM-ის ოფისთან, მისი განვითარებისამებრ. **მენეჯმენტის ბოლო ვადა: 2021 წლის აგვისტოში და პერიოდულად პროექტის დახურვამდე**	➢ დადგენილი შედეგებისა და ზომების შესახებ პერიოდული განახლების მოთხოვნა.	2021 წლის აგვისტოდან და ბოლო მონიტორინგის ანგარიშამდე	➢ განახლება მიღებულია